გᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

*დანართი №2*

# ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

*(სსიპ ქალაქ თბილისის N65 საჯარო სკოლა)*

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**
თავმჯდომარე: გიორგი მომცელიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
**წევრები:**
მადონა მუმლაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი,
ინგა ალავერდაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი,
ბესიკი ბერიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი,
ნინო ავალიანი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი,
ლამზირა აფაქიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი,
ინგა ცერცვაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------- -----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

მარინე კვარაცხელია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი,
თეონა აბრამიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი,
მურად ფახურიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი,
ნატო ხაჭაპურიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი,

# ნაწილი I. შესავალი

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია შესახებ | |
|---|---|
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება | სსიპ ქალაქ თბილისის N65 საჯარო სკოლა |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | საჯარო სამართლის იურიდიელი პირი |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 204422703 |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | თბილისი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------
-----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

| | |
|---|---|
| იურიდიული მისამართი | თბილისი,გორგასლის 75 |
| ფაქტობრივი მისამართი | თბილისი,გორგასლის 75 |
| საფოსტო ინდექსი | 0114 |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი | https://skolebi.emis.ge/ - სსიპ ქალაქ თბილისის 65 სკოლა |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა | Tbilisi65@mes.gov.ge |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი | 0322752623 |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი) | MES 9 23 0001060895 |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 11-12 ოქტომბერი 2023 წელი |

## IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

***„ზოგადი განათლების შესახებ“*** საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------- -----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

| N | **ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება** | **ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური** | **ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა** | **ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა; | დაწყებითი | ქართული | თბილისი,გორგასლის 75 |
| | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა; | საბაზო | ქართული | თბილისი,გორგასლის 75 |
| | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა; | საშუალო | ქართული | თბილისი,გორგასლის 75 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------
-----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

## V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

2023 წლის 11 და 12 ოქტომბერს **სსიპ - ქალაქ თბილისის N65 საჯარო სკოლაში** განხორციელდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტის ფარგლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებით" განსაზღვრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის შესრულების შემოწმება განხორციელდა.
ექსპერტების ჯგუფმა, ვიზიტის წარმართვისთვის, შეიმუშავა დღის წესრიგი და შესამოწმებელ დოკუმენტთა სავარაუდო ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გადაეცა ვიზიტამდე.ექსპერტა ჯგუფის შემადგენლობაში განისაზღვრა: ორი ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტით, რომელთაგან ერთი თავმჯდომარეობდა ჯგუფს და საგნობრივი ჯგუფის ექსპერტებით.
ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენელებს - სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირებს, საქმისმწარმოებელს, მულტიდისციპლინური გუნდის წევრს და სხვა პირებს. ინტერვიუ შედგა სკოლის მასწავლებლებთან, ვიზიტი განხორციელდა პირისპირ ფორმატში, ხოლო საგნობრივ ექსპერტებს (გარდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფისა) დისტანციურ რეჟიმში ჰქონდათ შესაძლებლობა ჩაეტარებინათ ინტერვიუები.
ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო გარკვეული მტკიცებულებების წარმოდგენა. ექსპერტების მიერ გაიცა რჩევები: დაწესებულების წარმომადგენლებმა ინტერვიუს დროს განმარტეს ზოგიერთი საკითხი. წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები გაცნობილი იქნა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ვიზიტის დასასრულს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------
-----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

*ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.*

| წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა | აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა | ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა |
|---|---|---|
| - | - | - |

**VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა**

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

-

# ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

**I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------
-----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

| სტანდარტი/კომპონენტი | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სტანდარტი 1**<br>სკოლის ფილოსოფია | **☐ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 1.1**<br>სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.2**<br>სკოლის დაგეგმვა და განვითარება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 3**<br>სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | **☐ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 3.1**<br>პერსონალის მართვა | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.2** | ☐ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------
-----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

| | |
|---|---|
| პერსონალის განვითარება | ☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.3**<br>პროცესების მართვა | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.4**<br>ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.5**<br>მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.6**<br>საინფორმაციო რესურსები | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.7**<br>ფინანსური რესურსები | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------
-----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

| | |
|---|---|
| **სტანდარტი 4**<br>**მოსწავლეთა მხარდაჭერა** | **☐ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 4.1**<br>მოსწავლეთა უფლებების დაცვა | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.2**<br>მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------
-----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| | | |
|---|---|---|
| მოსწავლეთა რაოდენობა: **1100** | ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒ | აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |
| | ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐ | |

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები: სრული შესაბამისობით შეაფასეს დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------
-----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.*

| *სტანდარტი 1* | სკოლის ფილოსოფია | *ხარვეზი* |
|---|---|---|
| - | - | - |
| *სტანდარტი 3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | *ხარვეზი* |
| | | |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი 4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | |
| - | - | - |

| *სტანდარტი 2* | სასკოლო კურიკულუმი<br>(ასახეთ კურიკულუმის დასახელება) | *ხარვეზი* |
|---|---|---|
| - | - | ...- |

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------
-----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)*[1]

| *სტანდარტი 1* | სკოლის ფილოსოფია | *სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი ....* | | .............. |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი 3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | |
| *ინდიკატორი N*3.4.1.1 | სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას | რეკომენდაცია: სკოლამ უზრუნველყოს:<br>ა) ,,შენობა-ნაგებობის, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვება;<br>ბ) შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოება[illegible] დასკვნის მოპოვება; |
| *ინდიკატორი N*3.5.1.2. | დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და | რეკომენდაცია: სკოლამ უზრუნველყოს: მატერიალური რესურსის, კერძოდ, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის, |

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------
-----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

| | | |
|---|---|---|
| | მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის | რესურსოთახის, სააქტო დარბაზის ხელმისაწვდომობა. |
| *ინდიკატორი N*3.5.1.3. | სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს | რეკომენდაცია: სკოლამ უზრუნველყოს: ინკლუზიური გარემოს შექმნის მიზნით, რესურსის, კერძოდ, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის, რესურსოთახის, სააქტო დარბაზის ხელმისაწვდომობა. |
| | | |
| *სტანდარტი 4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | *სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
| *ინდიკატორი* .... | | |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი 2* | სასკოლო კურიკულუმი<br>(ასახეთ კურიკულუმის დასახელება) | *სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
| | | |
| | | |
| | | |

## VI. რჩევა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------
-----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

*გთხოვთ, გადმოიტანოთ* არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი 1* | სკოლის ფილოსოფია | *რჩევა* |
| *ინდიკატორი ....* | | ............. |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი 3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | *რჩევა* |
| *ინდიკატორი N*3.4.1.1. | სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზ ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას | *სასურველია სკოლამ აიყვანოს შრომ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი* |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი 4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | *რჩევა* |
| *ინდიკატორი ....* | | |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) | *რჩევა* |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------
-----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

| | | |
|---|---|---|
| | | ➢ |

| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) | *რჩევა* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი 2.1.1.3* | კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ; | **საბუნებისმეტყველო კათედრის მიმართულებით:** სასურველია, კომპლექსური დავალებების შედეგების განხილვისას სამუშაო შეხვედრების დროს მასწავლებლებმა გააკეთონ წერილობითი რეფლექსიები, რაც მათ მისცემს საშუალებას, შეძლონ, დინამიკაში დაინახონ საკუთარი მუშაობის პროცესი. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------- -----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი 2.2.2.3* | შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე; | **საბუნებისმეტყველო კათედრის მიმართულებით:** სასურველია კვლევების სწავლების პროცესისთვის შეიმუშაონ კვლევი ანგარიშის მარტივი ფრომები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებს კრიტიკული აზროვნების,, ანალიტიკური მსჯელობის და დასკვნების გამოტანის უნარების განვითარება |
| **სტანდარტი N2** | **სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)** | ***რჩევა*** |
| | | |
| *ინდიკატორი 2.2.2.5* | სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. | **ესთეტიკის მიმართულებით:** სასურველ მუსიკის პროექტის სწავლების საორიენტაციოდ გამოიყენონ მეთოდურ სახელმძღვანელო . |

**VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი** (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

-

**VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------
-----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

**სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმისა და მტკიცებულებების მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის პოზიციას და შეფასების მიხედვით, დახარვეზებული კრიტერიუმები შეფასდა მეტწილად შესაბამისად, კერძოდ, შემდეგი ინდიკატორი მეტწილად შესაბამისია, რადგან სკოლის მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმის მიხედვით აღნიშნული საკითხების შესასრულებლად განსაზღვრულია ვადები და შესრულების პროცესშია. კერძოდ,** N3.4.1.1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას** - არგუმენტურებული პოზიციის გაზიარებისას სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც სკოლას განსაზღვრული აქვს შემდეგი ნაბიჯები - 1. შენობა ნაგებობის, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნის მოპოვება 10 ოქტომბერი 2023 წელი - 2024 წლის 10 ოქტომბერი; 2. სკოლის შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება. შესაბამისობის გეგმაში სკოლას განსაზღვრული აქვს ამ კონკრეტული მიზნების მისაღწევი თარიღები, დაწყება - დასრულების დრო 10 ოქტმბერი 2023 წელი - 2024 წლის 10 ოქტომბერი. შესაბამისობის გეგმაში მოცემულია ამ აქტივობაზე / აქტივობებზე პასუხისმგებელი პირები. სკოლას შემუშავებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და გადაგზავნილი აქვს შესათანხმებლად შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან., თუმცა ვიზიტის პერიოდში საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა არ იყო შეთანხმებული, ეს საკითხი არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის დროს სკოლამ უზრუნველყო.

*ინდიკატორი N* 3.5.1.2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის** - არგუმენტურებული პოზიციის გაზიარებისას სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრული ვადებით და პაუსხისმგებელი პირებით.

*ინდიკატორი N* 3.5.1.3. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს** - არგუმენტურებული პოზიციის გაზიარებისას სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც სკოლა მიზნად ისახავს - ინკლუზიური გარემოს შექმნის უზრუნველყოფას. შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრულია ვადები და პაუსხისმგებელი პირები.

*გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------
-----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

# ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია
1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები
1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს - სკოლის მისიაა:**

სსიპ ქალაქ თბილისის N65 საჯარო სკოლის მისიაა ღირსეული, ინტელექტუალური, ტოლერანტი და ეროვნული ღირებულებებით გამსჭვალული წიგნიერი თაობის აღზრდა; მოზარდებში პირადი და სოციალური პასუხისმგებლობის განცდის, განსხვავებული აზრის მოსმენის, პატივისცემისა და შემწყნარებლობის გრძნობის ჩამოყალიბება. ჩვენი მიზანია უსაფრთხო გარემოში წავახალისოთ მოსწავლეთა კრიტიკული აზროვნება, გავამრავალფეროვნოთ მათი უნარები და ცოდნა, რათა სწავლა არ უკავშირდებოდეს შიშსა და მძიმე შრომას;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------
-----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

თითოეულმა მოსწავლემ იპოვოს საკუთარი რიტმი და არასდროს იქცეს მორჩილ, პასიურ „მოაზროვნედ"; იყოს კონკურენტუნარიანი; სწორად შეაფასოს და განსაზღვროს პროფესიული არჩევანი; შეძლოს ცოდნისა და გამოცდილების ტრანსფერი განსხვავებულ შინაარსობრივ კონტექსტში; სკოლის დასრულების შემდეგ გაუმკლავდეს ცხოვრებისეულ სირთულეებს და წარმატებით გაართვას თავი და საკუთარი შესაძლებლობების, ნიჭისა და უნარების წარმატებით რეალიზებას. **სკოლის ხედვაა:** სასკოლო საზოგადოება თანხმდება, ჩამოაყალიბოს ერთიანი ხედვა 2023-2030 სასწავლო წლებისთვის. სკოლა გააფართოებს ადგილობრივ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ურთიერთობას, დაგეგმავს და განახორციელებს ერთობლივ პროექტებს, რათა აღზარდოს პასუხისმგებლიანი, კანონმორჩილი, კონკურენტუნარიანი, უწყვეტ განვითარებაზე ორიენტირებული მოქალაქეები. მნიშვნელოვანია, ამ ღირებულებებზე ორიენტირებულმა მომავალმა თაობამ, მიღებული ცოდნით წვლილი შეიტანოს ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობაში. გამომდინარე აქედან სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება განათლების ეროვნულ მიზნებს;

**2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს** - სკოლას საკუთარ ხედვაში გაცხადებული აქვს საკუთარი როლი, ქმნის უსაფრთხო გარემოსა და სივრცეს. რაც მიუთითებს იმაზე, რომ სკოლა პიროვნულ განვითარებაზეა ორიენტირებული და ქმნის სოციო-კულტურულ სივრცეს;

**3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით** - 2023 წლის 4 სექტემბერს სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული 1/კ-50 ბრძანების მიხედვით შექმნილია მისიას, ხედვასა და ღირებულებებზე მომუშავე ჯგუფი. აღნიშნული ჯგუფი აერთიანებს მასწავლებელს, ადმინისტრაციას, მოსწავლესა და მშობელს. შესაბამისად ამ ჯგუფიდან გამომდინარე ჩანს სკოლის საზოგადოების ჩართულობა.

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ** - 2023 წლის 4 სექტემბრის სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული ბრძანების მიხედვით შექმნილია მისიის, ხედვისა და ღირებულებებზე მომუშავე ჯგუფი. ჯგუფში შემავალი წევრები არიან მოსწავლეები, მასწავლებლები და მშობლები. გარდა ამისა, შემუშავებული მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, რასაც ასევე მოწმობს პედაგოგიური საბჭოს და სამეურვეო საბჭოს ოქმები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------
-----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

**5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი -** სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი როგორც სასკოლო საზოგადოების, ასევე ნებისმიერი სხვა დაინტერესებული პირისთვის. იგი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას (სკოლის ჰოლში, საინფორმაციო დაფაზე) ასევე გაზიარებულია სკოლის Facebook - ის და ვებ-გვერდზე.

**6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს** -- საქართველო განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ "ბრძანებით სკოლის სახელწოდებად განსაზღვრულია: სსიპ ქალაქ თბილისის 65 საჯარო სკოლა. შესაბამისად, სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ ქალაქ თბილისის 65 საჯარო სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები;
- სსიპ ქალაქ თბილისის 65 საჯარო სკოლის ვებ-გვერდი / სოციალურ ქსელში Facebook გვერდზე;
- 2023 წლის 4 სექტემბერს სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული 1/კ-50 ბრძანება
- სსიპ ქალაქ თბილისის 65 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი, 2023 წლის 7 სექტემბერი.
- https://skolebi.emis.ge/schools/406?schoolName=%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9E%20-%20%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A5%20%E1%83%97%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1%20%E2%84%9665%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D%20%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------
-----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
------------------------
------------------------

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

### 1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1.**სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს** - სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია. დოკუმენტში მოცემულია ინფორმაცია სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------
-----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

და ინტერესების გათვალისწინების შესახებ. კერძოდ, სტრატეგიული დაგეგმვის პირველ ეტაპს მოიცავს სკოლის პერსონალის, ბენეფიციარის და სხვა დაინტერესებული პირებისგან ინფორმაციის შეგროვება. შემდეგ, მეორე ეტაპი მოიცავს, მიღებული ინფორმაციის ანალიზს. შემდეგ, აღნიშნულიდან გამომდინარე, დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციას და ანალიზს, რის შედეგადაც, ძლიერი და სუსტი მხარების განსაზღვას და სამომავლო დაგეგმავს. აღნიშნული დოკუმენტი დამტკიცებულია სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ 2023 წლის 7 სექტემბრის, ოქმი N 1;

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს** - სკოლას შემუშავებული აქვს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, რომელიც შემუშავებულია სკოლაში განსაზღვრული ჯგუფის მიერ. სტრატეგიული განვითარების გეგმაში განსაზღვრულია შემდეგი მიმართულებები : სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება; ადამიანური რესურსის განვითარება; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა; სასკოლო საზოგადოების ჩართულობა; მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება; ორგანიზაციული განვითარება. აღნიშნულ მიმართულებებს მოჰყვებათ შესაბამისი ამოცანები. სტრატეგიული განვითარების გეგმის ანალიზისას დგინდება, რომ გეგმა ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს;

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას** - სკოლამ წარმოადგინა 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, მას ასევე წარმოდგენილი ჰქონდა 2022-2023 წლის სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან და გარდა სტრატეგიული გეგმისა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ასევე ეფუძნება სკოლის დირექტორის ყოველწლიურ ანგარიშს. სკოლის დირექტორის ანგარიში კი ეფუძნება საგნობრივი კათედრების ანგარიშს;

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია** - სამოქმედო გეგმაში, თითოეული აქტივობის შესაბამისად, მოცემულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------
-----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

შეფასების გაზომვადი ინდიკატორები, თითოეულ აქტივობას განსაზღვრეული ჰყავს პასუხისმგებელი პირი / პირები და შესრულების თარიღები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ ქალაქ თბილისის N 65-ე საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სსიპ ქალაქ თბილისის N 65-ე საჯარო სკოლის სტრატეგიული შვიდწლიანი გეგმა;
- სსიპ ქალაქ თბილისის N 65-ე საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2023-2024 სასწავლო წელი)

**1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა**

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------
-----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს** - სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს თავს -„შესრულების მონიტორინგი“. აღნიშნულ თავში გაწერილია ის ძირითადი ამოცანები რომლებსაც ეყრდნობა მონიტორინგისა და შეფასების პროცესი.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით** - სკოლას დოკუმენტაციაში წარმოდგენილი აქვს სკოლის დირექტორის სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ანგარიში, რაც სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად გასაანალიზებელი ინფორმაციის შეგროვების ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს. აღნიშნული ანგარიში ეხება გასულ 2022-2023 სასწავლო წელს და მასში მოცემულია ზოგადი ინფრომაცია სკოლის შესახებ, მოსწავლეთა რაოდენობის შესახებ, გაცდენების პროცენტული მაჩვენებლები კლასებისა და საფეხურის მიხედვით, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება (დიაგრამების სახით), კომპლექსური დავალების ნიმუში და შესაბამისად მათი ანალიზი. მოხსენება მოიცავს პედაგოგიური მიმართულებითაც ინფორმაციას. მოცემულია პედაგოგების რაოდენობა, მათი საათობრივი დატვირვა, საგნობირვი კათედრები. ანგარიშს დანართის სახით ერთვის ინფორმაცია და მტკიცებულებები კათედრების ანგარიშები და განხორციელებული საქმიანობის შესახებ.

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა** - სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიაში მოცემულია შედეგების გაზიარების მექანიზმები, რომლებიც გულისხმობს საჯაროობას. სტანდარტი სრულ შესაბამისობაშია;

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის** - სკოლის დირექტორის, გასული სასწავლო წლის ანგარიში მრავლამხრივია და მოიცავს ძირითად საკითხებს, მოსწავლების აკადემიური მოსწრების შედეგებს, პედაგოგებსის მუშაობის შედეგებს, . ანგარიში შემუშავებულია საგნობრივი კათედრების ანგარიშების ანალიზის საფუძველზე. სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის საფუძველზე შესაძლებელია ვთქვათ, რომ სკოლის შემდგომი განვითარებისათვის, სკოლას აქვს მზაობა, მომავალ პრაქტიკაში დაგეგმოს და გამოიყენოს გასული სასწავლო წლის შედეგების ანალიზის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------
-----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
------------------------
------------------------

- სსიპ ქალაქ თბილისის N 65-ე საჯარო სკოლის დირექტორის 2022-2023 სასწავლო წლის ანგარიში;
- სსიპ ქალაქ თბილისის N 65-ე საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სსიპ ქალაქ თბილისის N 65-ე საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 4 სექტემბრის ბრძანება N 1/კ-50

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## 3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

### 3.1. პერსონალის მართვა

#### 3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული** - სსიპ ქალაქ თბილისის 65 საჯარო სკოლაში დასაქმებული თანამშრომლების საშტატო ერთეულები განსაზღვრული და შეთანხმებულია განათლების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------
-----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

და მეცნიერების სამინისტროსთან, გაზიარებულია სკოლის ვებ-გვერდზე. სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული სკოლის საშტატო განრიგის მიხედვით სკოლაში დასაქმებულია დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, მასწავლებლები, სკოლის ექიმი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი, დარაჯი და დამლაგებელი. სკოლას ჰყავს მანდატური. დასაქმებულ პირებთან შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრულია კონკრეტული ფუნქციები. სკოლაში ფუნციონირებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები : სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვიმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები, მრჩეველთა საბჭო. სკოლა სტრუქტურული ერთეულების საქმიანობასა და მათ შორის კოორდინაცისთვის ხელმძღვანელობს ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის და ,,საჯარო სკოლის წესდების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N 448 ბრძანების მიხედვით და თანაშმრომლებთან დადებული შრომითი ხელშეკრულებით სადაც გაწერილია მათი უფლება-მოვალეობები;

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას** - თანამშრომლების საქმიანობის აღმწერი ფუნქციები, რომელიც შრომითი ხელშეკრულების ნაწილია, განსაზღვრავს თითოეული დასაქმებულის ფუნქცია-მოვალეობებს, რომელიც თავის მხრივ ხელს უწყობს სტრუქტურული ერთეულების და დასაქმებულების საქმიანობის განხორციელებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ ქალაქ თბილისის N65 საჯარო სკოლის საშტატო განრიგი;
- სსიპ ქალაქ თბილისის N65 საჯარო სკოლის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებები;
- სსიპ ქალაქ თბილისის N65საჯარო სკოლის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი "სსიპ ქალაქ თბილისის N65 საჯარო სკოლაში საგანგებო შტაბის შექმნისა და საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ",
- სსიპ ქალაქ თბილისის N65 საჯარო სკოლის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------
-----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

### 3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად** - სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტით რეგულირდება პერსონალის მართვის პროცესები;
2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა** - სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. დოკუმენტში, ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით გაწერილია განსახორციელებელი ამოცანები, რომელთა შორისაც ვხვდებით: ადამიანური



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------
-----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

რესურსების საჭიროებათა უზრუნველსაყოფად შესაძლებლობები ანალიზი და შეფასება; ანალიზის შედეგად საჭიროებების დადგენის შემთხვევაში გაუმჯობესების გზების ძიება;

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით** - სკოლას აქვს სკოლაში ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის გამოცხადების წესი, რომელიც შემუშავებულია „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 174/ნ ბრძანების შესაბამისად. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს თანამშრომლის მიღების წესი, სადაც ასახულია თანამშრომლის აყვანის წესი დირექცია - ადმინისტრაციის და ტექნიკური პერსონალის მიღების წესი. სკოლაში დასაქმებულ მასწავლებლებსა და დირექციის წარმომადგენლებს აქვთ ცნობები ნასამართლეობის შესახებ. ცნობები „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ" და „უფლების ჩამორთმევის შესახებ; პერსონალთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას** - სკოლაში დასაქმებული მასწავლებლები შერჩეულნი არიან „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 174/ნ ბრძანების შესაბამისად. აქედან გამომდინარე მათი კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებული თანამდებობის კვალიფიკაციას. გარდა ამისა, სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის პედაგოგთა და სხვა პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. დოკუმენტში დეტალურად არის გაწერილი სტრუქტურული ერთეულების / პირების ფუნქციების და საკვალიფიკაიო მოთხოვნები;

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს** - დაწესებულების დირექტორის განმარტებით, სკოლაში ყველა პროცესი ეფუძნება მონაწილეობით და გუნდურ მუშაობას. ამის დასტურია დოკუმენტებზე მუშაობის გაზიარება, რომელშიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ საგნობრივი კათედრები, პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------
-----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი** - სკოლის შინაგანაწესის მიხედვით, სკოლას აქვს დადგენილი თანამშრომელთა წახალისების მექანიზმები: მადლობის გამოცხადება, ფულადი პრემია და სხვ.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ ქალაქ თბილისის N65 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
- სსიპ ქალაქ თბილისის N65 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 2 ოქტომბერი ბრძანება N1/კ 76 ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის (დებულების) დამტკიცების შესახებ
- სსიპ ქალაქ თბილისის N65 საჯარო სკოლის პედაგოგთა შესარჩევი კონკურსის მასალები,
- სსიპ ქალაქ თბილისის N65 საჯარო სკოლის სკოლასა და თანამშრომელს შორის დადებული ხელშეკრულება.
- სსიპ ქალაქ თბილისის **N65** საჯარო სკოლის მიერ **teacherjobs.ge** განთავსებული ინფორმაცია ვაკანსიის გამოცხადების შესახებ;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 3.2. პერსონალის განვითარება

### 3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------
-----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები** - სკოლას მასწავლებლის საჭიროების დადგენის მექანიზმად წარმოდგენილი აქვს გაკვეთილზე დაკვირვების რუბრიკა, გაკვეთილის გეგმის შეფასების სქემა. სკოლას ასევე ჰყავს ხარისხის მართვის ჯგუფი, რომლის ფუნქციებში შედის მასწავლებელთა მუდმივი დაკვირვება და განმავითარებელი უკუკავშირი. რაც შეეხება პერსონალის შეფასებას და მათ პროფესიულ მხარდაჭერას, სკოლას მომავალში დაგეგმილი აქვს, შეფასებისა და წახალისების მიზნით, შექმნას ჯგუფი, რომელიც შეაფასებს ადამიანური რესურსის მუშაობას, საქმიანობას და წახალისების ინიციატივით მიმართავს სკოლის დირექტორს; სკოლას აქვს გაწერილი პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად** - მასწავლებლის პროფესიული საჭიროებების დადგენა ხორციელდება ხარისხის მართვის ჯგუფის მიერ გაცემული უკუკავშირის საშუალებით, რაც შეეხება სხვა პერსონალის განვითარებისთვის საჭიროებების დადგენა, ხდება დაკვირვებით და თვითშეფასების საფუძველზე. აღნიშნულ პუნქტს არეგულირებს სკოლის მიერ შემუშავებული ადამიანური მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას** - სკოლაში შექმნილია ხარისხის ჯგუფი, წარმოდგენილია ხარისხის ჯგუფის დებულება, რომლის მიხედვით ხარისხის ჯგუფმა ხელი უნდა შეუწყოს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას. სკოლამ აღნიშნა, რომ მასწავლებლები აქტიურ მონაწილეობას იღებენ რაიონულ და რესპუბლიკურ კონფერენციებში,

ჩართულები არიან სხვადასხვა ტრენინგში. რაც შეეხება სკოლის სხვა პერსონალის კარიერული წინსვლის ხელშემწყობ მექანიზმს, სკოლის დირექტორის განმარტებით, სკოლა ხელს უწყობს პერსონალის წინსვლას პროფესიაში, მისივე განმარტებით, სკოლის ბუღალტერმა გაიარა საკვალიფიკაციო ტრენინგი, რომელიც დააფინანსა სკოლამ;

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან** - სკოლაში ყველა პროცესი ეფუძნება მონაწილეობით და გუნდურ მუშაობას. ამის დასტურია დოკუმენტებზე მუშაობის გაზიარება, რომელშიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ საგნობრივი კათედრები, პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო. ხდება თანამშრომელთა შორის გამოცდილების გაზიარება;

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად -** აღნიშნული მიმართულებით საგნობრივი კათედრები ახორციელებენ დამატებით მუშაობას. კათედრების სხდომების პირველივე ოქმში გაწერილია, რომ მოსწავლეთა საჭიროებების დადგენისას, სთავაზობენ დამატებით მეცადინეობას (უსასყიდლოდ).ასევე აღნიშნული საკითხი განხილულია და დამტკიცებული პედაგოგიურ საბჭოზე.

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით** - სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია მოსწავლისთვის ადმინისტრაციული მხარდაჭერის მექანიზმები;

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას** - სკოლის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------
-----------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

ადმინისტრაცია რეგულარულად მართავს შეხვედრებს მოსწავლეთა თვითმართველობის წარმომადგენლებთან, სადაც განიხილება მოსწავლეთა წინადადებები. სკოლის ადმინისტრაცია მხარს უჭერს და აფინანსებს მათ პროექტებს. მაგალითად მოსწავლეთა მიერ შექმნილი პროექტი სკოლის ბენდი, რომლისთვისაც სკოლამ შეიძინა ყველა საჭირო აპარატურა მუსიკალური ბენდის ფუნქციონირებისთვის.

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას** - სკოლას შემუშავებული აქვს სხვადასხვა სახის ონლაინ კითხვარი და პერმანენტულად ატარებს სკოლა მშობელთა ონლაინ, ანონიმურ გამოკითხვებს. შემდეგ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე აკეთებს ანალიზს და აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ ქალაქ თბილისის N65 საჯარო სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- სსიპ ქალაქ თბილისის N65საჯარო სკოლის საგნობრივი კათედრების ოქმები
- სსიპ ქალაქ თბილისის N65 საჯარო სკოლის დირექტორის 4 ოქტომბრის N1/კ - 79 ბრძანება „მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმების" დამტკიცების თაობაზე
- სსიპ ქალაქ თბილისის N65 საჯარო სკოლის 2023 წლის 23 ივნისის #5 პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი

**4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება**

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------
-----------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის** - სკოლას გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმი პროფესიულ კოლეჯ „იმედთან“
2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით** - აღნიშნული მიმართულებით აქტიურად ჩართულები არიან მეცხრე კლასის დამრიგებლები და ისინი პერმანენტულად აწვდიან ინფორმაციას აღნიშნულის შესახებ მოსწავლეებს, მათი ინტერესიდან და საჭიროებიდან გამომდინარე;

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს** - სკოლას შემუშავებული აქვს სხვადასხვა სახის ონლაინ კითხვარი და პერმანენტულად ატარებს სკოლა მშობელთა ონლაინ, ანონიმურ გამოკითხვებს. შემდეგ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე აკეთებს ანალიზს და აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ ქალაქ თბილისის N65-ე საჯარო სკოლისა და პროფესიულ სასწავლებელ „იმედის“ მემორანდუმი;

**4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას**

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------
-----------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი** - სკოლას, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები და ასევე მოსწავლეთა სირთულის პირველადი მართვის მექანიზმები, რომელიც შესაბამისობაშია ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N16/ნ ბრძანებასთან. სკოლაში დასაქმებულია ორი სპეციალური მასწავლებელი და 5 სსსმ პირის ასისტენტი. შექმნილია ინკლუზიური განათლების დანერგვის მონიტორინგის ჯგუფი. ვიზიტის პერიოდში სკოლას ჰყავდა სსსმ მოსწავლეები (19 სსსმ მოსწავლე). სკოლაში აქტიურად მოქმედებს ინდივიდუალურ გეგმაზე მომუშავე გუნდი. შესაბამისად მათ აქვთ საჭიროებას მორგებული გეგმები და შეხვედრების ოქმები;

**2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს** - სკოლას აქვს რესურსოთახი, ჰყავს სპეციალური მასწავლებელი და ასისტენტი. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ისგ ჯგუფის ფორმირება. ისგ ჯგუფის მუშაობა ეფუძნება მასწავლებელთა და მშობლის ერთობლივ საქმიანობას. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლეთა სირთულის პირველადი მართვის მექანიზმები, რომელიც ასევე მასწავლებელთა მხრიდან მოსწავლის სირთულის ერთობლივად დაძლევაზეა დაფუძნებული. სსსმ მოსწავლის / მოსწავლეების საჭიროებების მიხედვით შექმნილია ინდივიდუალური გეგმები. აღნიშნული მოსწავლეები აქტიურად ჩართულები არიან სასკოლო ღონისძიებებში და სასკოლო ცხოვრებაში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------
-----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ ქალაქ თბილისის N65 საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სსიპ ქალაქ თბილისის N65 საჯარო სკოლის ინდ. გეგმის შემუშავების ჩარჩო დოკუმენტი;
- ქალაქ თბილისის N65 საჯარო სკოლის რესურს ოთახი, შესაბამისი რესურსები;
- ქალაქ თბილისის N65 საჯარო სკოლის სპეციალურ მასწავლებლებთან დადებული ხელშეკრულება;

**4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------
-----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) -** სკოლაში ვიზიტის პერიოდში არ ყოფილა იჯარით გაცემული ფართი და არც წრეები.
2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას -** სკოლა არ სთავაზობს დამატებით მომსახურეობას.
3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს -** სკოლა არ სთავაზობს დამატებით მომსახურეობას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------
-----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

## ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

### I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------
-----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

| სტანდარტი 2<br><br>სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*<br>☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
|---|---|
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------
-----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

### 2. სასკოლო კურიკულუმი

### 2.1. კურიკულუმის შემუშავება

### 2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას** - სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის ჩანაწერებში, თანდართულ დოკუმენტებში და დაწყებითი საფეხურის საგნობრივი მიმართულებით პედაგოგებთან ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ პედაგოგები, დირექცია და მშობლები კურიკულუმების შემუშავების პროცესში თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ითვალისწინებენ ერთმანეთის აზრს. შეხვედრებზე მიმდინარეობს მსჯელობა მასწავლებლებს შორის მოსწავლეთა ძლიერ და სუსტ მხარეებზე. შესაბამისად, კურიკულუმის შედგენის დროს ხდება მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინება, კომპლექსური დავალების აქტივობების დიფერენცირება. კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი. დოკუმენტში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობა, თუ ვინ და რა ფორმით მიიღებს მონაწილეობას

სასწავლო პროცესის დაგეგმვაში-მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, დირექცია. ვის რა ფუნქცია ექნება; როგორ მოხდება სასწავლო პროცესის შესახებ მონაცემთა შეგროვება და გათვალისწინება; რა ფორმით აღიწერება სწავლა-სწავლების მიზნები, მეთოდები და შეფასების ფორმები. ამ მიმართულებით სკოლა მუშაობის გაგრძელებას აპირებს 2023-2024 სასწავლო წლის განმავლობაში გამოიყენებს გამოკითხვას Forms მეშვეობით, დაამუშავებს მიღებულ ინფორმაციას, დააზუსტებს საჭიროებებს გაფართოებული შეხვედრებით სასკოლო საზოგადოებასთან საფეხურის შესაბამისად, გააძლიერებს კათედრის მუშაობას ამ მიმართულებით. თითოეული საგნის უკვე შექმნილი კურიკულუმის ჩარჩო ატვირთულია საზიარო სივრცეში (OneDrive) რათა შემდეგ კოლეგებმა შეძლონ საჭიროებისამებრ მოდიფიცირება და გამოყენება. კურიკულუმის შემუშავების პროცესში ყურადღება მახვილდება შემდეგ საკითხებზე: **კონცეპტუალური ჩარჩო** (ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, სკოლის ფილოსოფია), **კურიკულუმის დიზაინი** (კურიკულუმის სტრუქტრული ერთეულები, დანერგვის ინსტრუმენტები, შუალედური სასწავლო მიზნები, მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტების შეთანხმება/ვერიფიკაცია, სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციები და მონაწილეობის ფორმები კურიკულუმის განვითარების პროცესში). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**;

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები** - მასწავლებელბლებთან გასუბრებიდან ირკვევა, რომ კურიკულუმის შექმნისას სკოლა ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს. დაწყებით საფეხურზე კურიკულუმის შემუშავების პროცესში ძირითადად ჩართულები არიან დირექცია და დაწყებითი საფეხურის პედაგოგები, თუმცა ისინი ითვალისწინებენ მოსწავლეების და მათი მშობლების უკუკავშირს. კათედრის წევრები ერთად შეიმუშავებენ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიას, იზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას და ათანხმებენ მას. ამის საფუძველზე გამოიკვეთება ისეთი პრიორიტეტული საკითხები, რომელებიც ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას და საგნობრივ სტანდარტს. გეგმავენ ურთიერთდასწრებას გაკვეთილზე, განიხილავენ დაწერილ რეფლექსიებს აძლევენ ერთმანეთს უკუკავშირს. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისას ძირითად საკითხად მოიაზრება, ისეთი საკითხები, რომელიც მოსწავლეთა ჩართულობას გაზრდის სასწავლო პროცესში. სკოლის თვიშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ მშობელთა ჩართულობისათვის შეიმუშავეს სასკოლო კურიკულუმის კმაყოფილების და ელექტრონული ფორმით დაუგზავნეს მშობლებს ჯგუფებში. თვითშეფასების ფორმის მიხედვით უკუკავშირი დაუბრუნა მშობელმა, ისინი მიიჩნევენ, რომ სკოლის მიერ შემოთავაზებული კურიკულუმი მათთვის დამაკმაყოფილებელია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------
-----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

**კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ** - დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, რადგან ამ პროცესში ჩართულია როგორც სკოლის დირექცია და დაწყებითი კლასების კათედრის პედაგოგები, ასევე მოსწავლეები და მათი მშობლები. დაგეგმვის პროცესი მიმდინარეობისას ტარდებოდა მიზნობრივად დაგეგმილი შეხვედრები სკოლაში კათედრის წევრებთან, პედაგოგები აქტიურად ესწრებოდნენ სასკოლო საზოგადოებისათვის მხარდაჭერის გარე ღონისძიებებს (ტრენინგებს, შესაბამისი საგნობრივი ჯგუფებისთვის გამიზნულ სემინარებს და სხვა). სკოლაში არსებობს მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებული დამრიგებლის სამოქმედო გეგმები. მოსწავლეთა ჩართულობით ადგენენ სადამრიგებლო საათის შინაარსს. კლასის ხელმძღვანელების დახმარებით მშობლები ჩართული არიან სხვადასხვა აქტივობის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. ამისთვის იმართება მშობელთა კრებები, სადაც განიხილება სწავლა-სწავლების მიზნები, სასკოლო კურიკულუმი, სასწავლო რესურსების გამოყენებისა და შეფასების პრინციპები. ასევე, განიხილება, თუ რა ფაქტორები უწყობს ან უშლის ხელს მშობლების სასწავლო პროცესში ჩართვასა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებით მათი შეხედულებებისა და ინტერესების შესწავლას. ამ ეტაპზე წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში იკვეთება მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების ინტერესების გათვალისწინების მაგალითები და ჩართულობის ელემენტები. აღნიშნული დასტურდება სასკოლო სასწავლო გეგმაში, პედსაბჭოსა და საგნობრივი კათედრების ოქმებში. აშკარაა სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წევრს აქვს თავისი როლი და პასუხისმგებლობა კურიკულმის განვითარებაში. მნიშვნელოვანია, რომ კურიკულუმის ვერსია არის გაზიარებული და შეთანხმებული. გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ ყველა მასწავლებელმა იმუშავა სასკოლო კურიკულუმის შექმნაზე, თუმცა იგეგმება მშობლების უფრო აქტიური ჩართვა. მათი უკუკავშირის გასათვალისწინებლად.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**;

3. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ - დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი, საგნობრივი პროგრამები, შეფასების რუბრიკები, განხორციელებული სასკოლო პროექტები, არაფორმალური საგანმანათლებლო პროგრამები საჯარო და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის. ღონისძიებების ამსახველი ელექტრონული რესურსების,ფოტო-ვიდეო მასალის განთავსება ხდება სკოლის სოცილაურ გვერდზე (Facebook), ეწყობა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------
-----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენები რომელიც გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. გარდა ამისა, სკოლას აქვს პრაქტიკა გამოიყენოს მშობლებთან ურთიერთობის სხვადასხვა საკომუნიკაციო ფორმები: როგორც სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში, ისე ინდივიდუალური შეხვედრები. სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროექტების, ღონისძიებების თუ სპორტული აქტივობების შესახებ ინფორმაციის გაზიარებისთვის სკოლა იყენებს სოციალურ ქსელს, რომლის საშუალებითაც ხდება სასკოლო საზოგადოების ინფორმირება და ასევე ეფექტური უკუკავშირის მიღება. **ინდიკატორი შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ ქალაქ თბილისის 65-ე საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- სსიპ ქალაქ თბილისის 65-ე საჯარო სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- სსიპ ქალაქ თბილისის 65-ე საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის სხდომის ოქმი;
- სსიპ ქალაქ თბილისის 65-ე საჯარო სკოლის პედაგოგებთან ინტერვიუ.

**2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------
-----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას** - შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რადგანაც ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ, ინდივიდუალურ თავისებურებებს და შესაძლებლობებს. შემუშავებულ კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის წინარე ცოდნა.

2. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს** - სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმნეტაციის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ შექმნილი კურიკულუმები და სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. კერძოდ, სკოლაში ჰყავთ სსსმ მოსწავლეები, სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილია ისგ ჯგუფები. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმატში იგეგმება ადაპტირებული კომპლექსური დავალებების შექმნა. ინკლუზიური განათლების მონიტორინგის დასკვნაში აღნიშნულია, რომ სკოლას აქვს რესურს ოთახი, ჰყავს ორი სპეც . მასწავლებელი, სსსმ მოსწავლის ასისტენტი, რომლებიც საგნის მასწავლებლებთან და მშობლებთან ერთად აქტიურად არიან ჩართული მოსწავლის სწავლა-სწავლების პროცესში. სხვადასხვა საგნის მასწავლებლები ცდილობენ სსსმ მოსწავლეები ჩართონ შემეცნებით და გასართობ ღონისძიებებში. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სკოლა ყოველ წლიურად ახორციელებს, ინკლუზიური განათლების ცნობადობის ამაღლების მხარდამჭერ ღონისძიებებს. აღნიშნული მიმართლება, საგნობრივი კათედრების მიხედვით.

3. **განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს** - სკოლის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაციის ანალიზისას გაირკვა, რომ განმსაზღვრელი და განმავითარებეილი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და ორიენტირებს. საგნების მიხედვით, კონკრეტული თემების შეფასება შესაბამისობაშია ინდიკატორებთან.

4. **დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი** - სკოლის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტების მიხედვით, დაგეგმვისას გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. კერძოდ, კურიკულუმი არის სპირალური, და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------
-----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

ყოველი მომდევნო თემა გამომდინარეობის წანა თემიდან. აღნიშნულიდან გამომდინარე, საგნობრივი კათედრების მუშაობაში მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ ქალაქ თბილისის 65-ე საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- სსიპ ქალაქ თბილისის 65-ე საჯარო სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- სსიპ ქალაქ თბილისის 65-ე საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის სხდომის ოქმი;
- სსიპ ქალაქ თბილისის 65-ე საჯარო სკოლის პედაგოგებთან ინტერვიუ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

**2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------- -----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;**
სკოლის დოკუმენტაციის განხილვისას, რადგანაც სკოლა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობას ირჩევს, გეგმავს თემატურად ეს გარკვეულწილად ნიშნავს იმას, რომ მოსწავლე აქტიურად არის ჩართული შემოქმედებით პროცესში. აღნიშნული დასტურდება თითეული საგნის მიმართულებით. კერძოდ, **ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით -** წარმოდგენილი მასალის მიხედვით, სკოლის საგნობრივი კურიკულუმები ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას, ხორციელდება თემატური დაგეგმვა, ძირითად რესურსად წარმოდგენილია გრიფირებული სახელმძღვანელოები, ეს ყველაფერი მიუთითებს, რომ ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. **სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე -** წარმოდგენილი კურიკულმები გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან და ეფუძნება მას, რაც გვაძლევს იმის გარანტიას, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი სწავლის სწავლაზე კეთდება.

2. **სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული)** - სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმებით ჩანს, რომ სკოლა ორიენტირებული კომპლექსური ტიპის დავალებებზე, (შუალედურ მიზნად აქვთ აღებული). კომპლექსური დავალება თავის მხრივ ცოდნის სამივე კატეგორიას მოიაზრებს. აქედან გამოდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე და ეს კარგად ჩანს საგნობრივ ჭირლში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------

-----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

3. **სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება** - სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების მიახდვით, ჩანს, რომ სსასწავლო პროცესი ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმასა და საგნობრივ სტანდარტებს. გარდა ამისა ძირიტად რესურსად სკოლა იყენებს გრიგფირებულ სახელმძღვანელოებს დაც თავისთავად გულისხმობს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთ დაკავეშირებას. აღნიშნულის დასტურია საგნობრივი კათედრების მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კრუიკულუმები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ ქალაქ თბილისის 65-ე საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- სსიპ ქალაქ თბილისის 65-ე საჯარო სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- სსიპ ქალაქ თბილისის 65-ე საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის სხდომის ოქმი;
- სსიპ ქალაქ თბილისის 65-ე საჯარო სკოლის პედაგოგებთან ინტერვიუ.

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------
-----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით** - სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია წარმადგენს მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შექმნილ საგნობრივ კურიკულუმებს. ეს ფაქტი თავის მხრივ გულისხმობს, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. ამის დასტურია თითოეული საგნის ჭრილში წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმი.
2. **საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას** - საგანსა და კურიკულუმში გათვალისწინებულია მოსწავლის ასაკობრივი თავისებურება და ინტერესი, რაც თავისთავად გულისხმობს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქოლოგიურ განვითარებას. აღნიშნული ინდიკატორი შემდეგი სახით არის წარმოდგენილი საგნობრივ კურიკულუმებში.
3. **შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე** -აღნიშნული მიმართულებებით კათედრებზე წარმოდგენილი დოკუმენტაციით შეფასესების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტურ განვითარების მხარდაჭერაზე.
4. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი** - შეფასების სისტემის გამართულობაზე მეტყველებს სკოლის მიერ საგნობრივი მიმართულებებით შექმნილი შეფასების სქემები.
5. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი** - სკოლას შემუშვებული აქვს ვერიფიკაციის მექნიზმები. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით ვერიფიკაცია ხორციელდება ორი მიმართულებით: შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; შეფასების პროცესის ვერიფიკაცია. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს საჩივრის წარმოების წესებს და განხილვის ვადებს. ვერიფიკაციის მექნიზმზე დაყრდნობით სკოლას შემუსავებული აქვს შეფასების ვერიფიკაციის წესი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------
-----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

და შექმნილი ჰყავს  მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელიც აერთიანებს თითეული კათედრის წამომადგენლებსა და დირექციას. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმებს ადასტურებს ინტერვიუები თითოეულ საგნობრივ კათედრასთან, სადაც მასწავლებლები აღნიშნავენ კათედრის სხდომებზე მუდმივად განიხილავენ შეფასების ინსტრუმენტებს, ზრუნავენ მათ დახვეწასა და გაუმჯობესებაზე. **ინდიკატორი შესაბამისია.**

**6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით** - დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვა და შენახვა, რაც მტკიცდება წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე. მოსწავლის პირად საქმეში შეტანილია წლიური შეფასებები, ცნობები და საჭიროების შემთხვევაში ექსტერნატზე ინფორმაცია. ხდება ელექტრონული ჟურნლის წარმოება. შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებს, მტკიცებულებებს მასწავლებლები გადასცემენ კათედრას, რომელიც აწარმოებს მათ  აღრიცხვას და შენახვას კანონმდებლობის შესაბამისად. რაც შეეხება შემაჯამებელ დავალებებს, მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს, გაირკვა რომ სკოლა აწარმოებს შემაჯამებელი დავალების შეფასების ანალიზს, მათ აქვთ თითოეული მოსწავლის ნაშრომი შენახული გარკვეული დროის განმავლობაში. ხოლო სამომავლოდ სკოლა უზრუნველყოფს ზემოთაღნიშნული დოკუმენტაციის შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.  გასათვალისწინებელია, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, გამომდინარე აქედან, ყოველივე ზემოთხსენებულზე დაკვირვებისა და ანალიზის  შედეგად **ინდიკატორი შესაბამისია.**

-

დასტურდება  (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების  მტკიცებულებები.*

- სსიპ ქალაქ თბილისის 65-ე საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- სსიპ ქალაქ თბილისის 65-ე საჯარო სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- სსიპ ქალაქ თბილისის 65-ე საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის სხდომის ოქმი;
- სსიპ ქალაქ თბილისის 65-ე საჯარო სკოლის  პედაგოგებთან ინტერვიუ.
- დოკუმენტი შეფასების სისტემის ვერიფიკაციის შესახებ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: --------
-----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

### 2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებში მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას, კერძოდ, როგორც სასკოლო, ასევე საკლასო გარემოში მასწავლებლისა და მოსწავლეების ურთიერთობები დამყარებულია ურთიერთპატივისცემაზე, მოსწავლეებს არ ეშინიათ შეცდომების დაშვების, კითხვების დასმის. სწავლა-სწავლება მიმართულია აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაზე, პიროვნულ განვითარებაზე. ჯგუფური პროექტების განხორციელება, სასკოლო გუნდური მუშაობა ხელს უწყობს კლასისა და სკოლის კლიმატის გაჯანსაღებას. ნებისმიერი ინიციატივა მისაღებია.

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები, საჭიროებები. სკოლა უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართვას სასწავლო პროცესში, ქმნის ეფექტურ გარემოს მოსწავლეთა პოტენციალის რეალიზებისათვის, სასწავლო პროცესის სუბიექტია მოსწავლე, ხოლო მასწავლებელი - ფასილიტატორი. საინტერესო სასწავლო პროცესის, კომპლექსური დავალებების, პროექტების შეთავაზებით სკოლა ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------
-----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. კათედრის წევრები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ზრუნავენ თანამშრომლობითი კულტურის განვითარებაზე. ხშირად ერთობლივად გეგმავენ და ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს და აძლევენ განმავითარებელ უკუკავშირს, ერთობლივად შეიმუშავებენ შეფსების რუბრიკებს. კურიკულუმების დაგეგმვის პროცესი მიმდინარეობს კათედრის წევრთა მოსაზრებების გათვალისწინებით. მასწავლებლები ერთად განიხილავენ სიახლეებს, პრობლემურ საკითხებს, პრიორიტეტულ თემებს, იღებენ გადაწყვეტილებებს, თუ რომელ კლასში რა ტიპის სასწავლო პროცესი შეიძლება დაიგეგმოს.

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. ამის მისაღწევად გამოყენებულია სხვადასხვა მექანიზმი. ურთიერთობა დაფუძნებულია ტოლერანტულ და პოზიტიურ პრინციპებზე, სადაც მოიაზრება თანასწორობა სასკოლო საზოგადოებას შორის. სკოლა ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის თანამშრომლობას, რომელიც მოიცავს აკადემიურ და პიროვნულ ზრდას, ზრუნვას, პატივისცემას, სკოლის განვითარებაზე პასუხისმგებლობას და მათ ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში. მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის ჩამოყალიბებულია ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული პოზიტიური ურთიერთობა, რასაც ხელს უწყობს არაფორმალურ აქტივობებში ჩართულობა. სკოლაში არსებული რესურსები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------
-----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

**2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად** - სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, სადაც გაწერილია კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების ძირითადი პრინციპები. სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის ჩანაწერებში, თანდართულ დოკუმენტებში და პედაგოგებთან ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლა გააგრძელებს მუშაობას ამ მიმართულებით და დოკუმენტში ასახავს, თუ როგორ (რა საშუალებებით) განხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. სასკოლო საზოგადოებას გააზრებული აქვს, რომ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------
-----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

კურიკულუმის განვითარება არის ციკლური პროცესი და მონიტორინგი და შეფასება ამ პროცესის განუყოფელი ნაწილია. სკოლა, ასევე, ცალსახად გამოკვეთს მონაცემთა მიზნობრიობას, მათი შეგროვებისა და ანალიზის პროცესებს, როგორ შეიძლება აისახოს მიღებული შედეგები კურიკულუმისა და სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებისათვის, განსაზღვრავს ინდიკატორებს, რომელიც შესაძლებლობას მისცემს სკოლას გაზომოს როგორც პროცესი, რა განხორციელდა მიზნის მისაღწევად, ასევე შედეგები და პასუხი გასცეს კითხვებს: მიმდინარეობს თუ არა აქტივობები დაგეგმილის მიხედვით? მოახდინა თუ არა ცვლილება პროგრამის აქტივობებმა? აგრეთვე მონაცემთა შეგროვების მეთოდები და ვადები, როლები და პასუხისმგებლობები, ანალიზისა და ანგარიშგების გეგმა, რომლის ბოლო ელემენტიც აღწერს, თუ როგორ აისახება შედეგები კურიკულუმის განვითარებისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესების თვალსაზრისით. მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით მონაცემების დამუშავება იგეგმება კათედრის პედაგოგებისა და სკოლაში შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, ეს ყველაფერი აისახება კურიკულუმის მეთოდოლოგიის შემუშავების დოკუმენტში.

**2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას** - სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის ჩანაწერებში, თანდართულ დოკუმენტებში და პედაგოგებთან ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სკოლა და კათედრა მუშაობს კურიკულუმის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების სისტემაზე, სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, სადაც გაწერილია კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების ძირითადი პრინციპები. სკოლა გეგმავს მასწავლებელთა მხარდაჭერასა და დახმარებას, მათ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვასა და ხელშეწყობას. მტკიცებულებებზე დაყრდნობით მასწავლებლებს შეუძლიათ შეაფასონ მოსწავლის სწავლის პროცესი, დაადგინონ ის სფეროები და უნარები, სადაც მოსწავლეს დახმარება სჭირდება, მისცენ უკუკავშირი და მიგნებების გათვალისწინებით დაგეგმონ სწავლის პროცესი. ასევე, მასწავლებლებსა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებსაც, იქნება ეს ადმინისტრაციული რგოლი, თუ მშობელი, შეუძლიათ შეფასონ საკუთარი მუშაობის პროცესი და მოძებნონ გამოსავალი გამოწვევებზე. მონიტორინგი და შეფასება ხელს შეუწყობს სკოლის მომავლის დაგეგმვას, ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებასა და ახალი შესაძლებლობების შეფასებას.

**3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას** - სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის ჩანაწერებში, თანდართულ დოკუმენტებში და პედაგოგებთან ინტერვიუების, აგრეთვე წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სკოლას გაცნობიერებული აქვს ის ფაქტი, რომ დაწესებულების მიერ განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების

პროცესის ანალიზში ასახული უნდა იყოს კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განსაზღვრული უნდა იყოს ხელისშემშლელი ფაქტორები და არსებული შესაძლებლობები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის. სკოლა ანალიზზე დაფუძნებით შეიმუშავებს პრიორიტეტულ და სტრატეგიულ ხედვას და ასახავს სამომავლოდ გადამუშავებულ კურიკულუმში.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ ქალაქ თბილისის 65 საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- სსიპ ქალაქ თბილისის 65 საჯარო სკოლის კომპლექსური დავალების მატრიცები
- სსიპ ქალაქ თბილისის 65 საჯარო სკოლის კურიკულუმი

### 2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს** - სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის ჩანაწერებში, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში და პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას გაცნობიერებული აქვს, თუ რას ნიშნავს შეფასების ჰოლისტური ხასიათი, რომ ესაა ინტეგრირებული, ერთიანი და სისტემური მიდგომა და მოიცავს მონაცემების შეგროვებას მრავალფეროვანი მეთოდებით, მრავალი სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით, რაც ამცირებს შეფასების ვარიაციის შეცდომას და ვიღებთ სრულ სურათს. პროცესების, მოსწავლის,

პრობლემის, გამოწვევის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას მნიშვნელოვანია იგი მოპოვებული იყოს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. პედაგოგები საუბრისას აღნიშნავენ, რომ საუბარია მაგ. არა მხოლოდ მოსწავლის მიღწევების, მისი ცოდნისა და უნარების შეფასებაზე, არამედ მთლიანად სასწავლო პროცესის შეფასებაზე, რომელიც ემსახურება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების დიაგნოსტირებას, პრობლემების ანალიზსა და მათი მოგვარების გზების ძიებას, რაც საბოლოოდ აისახება მოსწავლის პიროვნულ და აკადემიურ განვითარებაზე. ამასთან, გამოკვეთილი პრობლემის შეფასებისა და მოგვარების მიზნით ინფორმაცია შეგროვდება რაც შეიძლება მრვალფეროვანი წყროებიდან: ეს შეიძლება იყოს მოსწავლე, თანატოლი, მშობელი, მასწავლებელი, დამრიგებელი, სკოლის სხვა პერსონალი და სხვა. სკოლა მუშაობს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის სასწავლო პროცესზე მორგებაზე, სადაც ასახული იქნება ისიც, თუ როგორ (რა საშუალებებით) განხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება (რა წყაროების საშუალებით მოხდება დანერგვის პროცესის შესახებ ინფორმაციის შეგროვება). **ინდიკატორი შესაბამისია**.

**2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით** - სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის ჩანაწერებში, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში და პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა, რომ მოსწავლეთა შეფასებას განახორციელებს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, მაგალითად, მოსწავლის სწავლის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას მნიშვნელოვან ინფორმაციას მოიპოვებენ ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც მოსწავლის პროდუქტიულობაზე ახდენს გავლენას. ეს შეიძლება იყოს სახლი, სკოლა, კლასი, ეზო, სათამაშო სივრცე, კონკრეტული გაკვეთილი და ა.შ. სრულყოფილი ინფორმაციისთვის აუცილებელია მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა. სწორედ შეფასების მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრება კონტექსტებიც და ფოკუსიც, რაც მოცემულ კონტექსტში გვჭირდება. დასკვნის ვალიდაციას სწორედ ეს მრავალი კონტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს. **ინდიკატორი შესაბამისია**.

**3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები** - სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის ჩანაწერებში, თანდართულ დოკუმენტებში და პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა იყენებს მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდს - კითხვარის შევსება, ინტერვიუ მცირე ჯგუფებთან, შეხვედრები და სხვ. სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია და ადასტურებს მზაობას, მასში ასახოს მონიტორინგისა და შეფასების ასპექტები, მათ შორის - რა მეთოდებს, როდის, როგორ გამოიყენებს დანერგვის პროცესის შესახებ მონაცემების შესაგროვებლად. ყველაზე ტიპური და გავრცელებული მეთოდები საგანმანათლებლო სფეროში სკოლის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------
-----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

ბაზაზე არის ანკეტირება, გამოკითხვა, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი, მეორად მონაცემთა ანალიზი, თვისებრივი და რაოდენობრივი დაკვირვება, ტესტირება, სამოქმედო კვლევა, ექსპერიმენტი და სხვა. **ინდიკატორი შესაბამისია**.

**4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.**

